განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

<u>ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;</u>

<u>ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;</u>

<u>ა.ბ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონის პროექტი.</u>

2013-2021 წლების მოვლენები, როდესაც საჯარო სივრცეში სექსუალური ორიენტაციის საჯარო დემონსტრირებასთან დაკავშირებული ღონიძიებების ჩატარების მცდელობამ გამოიწვია საჯარო მღელვარება და მოსახლეობის მასობრივი პროტესტი, რამაც ნათლად აჩვენა რომ ქართულ სოციუმში ამ კულტურული და ეთნიკური ღირებულებების სივრცეში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება წარმოადგენს იმ ზღვარის გადაკვეთას, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება საჯარო სივრცეში ქცევის ნორმებთან დაკავშირებით აწესებს.

მტკიცეა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სივრცეში განსაკუთრებით ბავშვების მიერ მსგავსი აქტივობების ხილვა მოსახლეობისათვის მკვეთრად მიუღებელია, შესაბამისად აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესები, რადგან საზოგადოების სიმშვიდისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ღონისძიებები; აუცილებელია კანონით აიკრძალოს ასეთი საჯარო დემონსტრაციების და ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მთავარ ან ერთ-ერთი მიზანს მონაწილეთა სექსუალური ორიენტაციის დემონსტრაცია, პოპულარიზაცია და პროპაგანდა წარმოადგენს. ამავდროულად საზოგადოების მღელვარებას იწვევს შეკრებებსა და მანიფესტაციებზე ამ თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი გამოსვლების და მოწოდებები, დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი ხდება ამა თუ იმ რელიგიური მიმდევრობისა და რწმენის მქონე ადამიანი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათ-წესებით დაფუძნებული საჯარო წესრიგის რღვევის საფრთხეს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სხვათა უფლებების უზრუნველყოფას;

დღეისათვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, როგორც ამას არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, არ არის ამომწურავი, ტოვებს შესაძლებლობას ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფებისათვის, რათა მათ თავიანთი ინტერპრეტაციით, ბოროტად ისარგებლონ საკანონმდებლო რეგულაციით და მიაღწიონ უკანონო მიზანს.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად სახელმწიფომ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში, თანაზომიერების ტესტის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდოს აღნიშნული უფლება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ცვლილების პროექტის მიზანია შექმნას მყარი ბერკეტი, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებით ბოროტად სარგებლობის ფაქტები და დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით და

საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით უზრუნველყოფილი უფლებები, საფრთხე არ შეექმნას საჯარო წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

<u>ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:</u>

კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაცია. სწორედ ამიტომ ცვლილება შედის ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში", ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" და ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში".

<u>ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:</u>

კანონპროექტის მიღებას დადებითი გავლენა ექნება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის კუთხით. კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს რელიგიურ მიმდინარეობებისა და ამა თუ იმ რეგილიგიის მიმდევართა, ასევე სექსუალურ უმცირესობათა და სექსუალურ უმრავლესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს, განეიტრალდება სოციალური და რელიგიური შუღლის საფრთხე, შემცირდება და აღმოიფხვრება სოციალურ ჯგუფებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფუძვლები.

<u>ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:</u>

წინამდებარე კანონის პროექტით ცვლილება შედის ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში", ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" და ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში", კერძოდ: ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონს" ემატება მე-10^1 მუხლი, რომელიც აწესებს ახალ რეგულაციას შემდეგი რედაქციით:

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას;
2. აკრაძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტირებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას.

ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კოდექსს ემატება ახალი რეგულაცია, ემატება და მკაცრდება დარღვევაზე პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ: კოდექსის 174^1 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგი შინაარსით:

4. „<u>შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-10^1, მე-11 და 11^1 მუხლებით გათვალისწინებული</u> ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 (სამი ათასი)ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 (ოცდახუთი) დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით.

,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" შედის ცვლილება, კოდექსს ემატება ახალი მუხლი, რომლითაც დგინდება სისხლის სამართლის დანაშაულის ახალი სახე, კერძოდ:

მუხლი 347[1]. შეკრების ან მანიფესტაციის წესის განმეორებით დარღვევა

,,შეკრებებისა და მანიფეტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე- 10[1], მე-11 და მე- 11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების გამეორებით დარღვევა - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180 (ას ოთხმოცი)-დან 240 (ორას ორმოცი) საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 2 (ორი) წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 (ორი) წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლამდე.

<u>ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:</u>

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში, რადგან იგი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

<u>ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:</u>

რადგან კანონპროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებას, და ასევე ახალი სამართალდარღვევის შემოღებას, მიზაშეწონილია რომ იგი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამასთანავე, კანონპროექტით არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

<u>ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):</u>

ინიციატორების მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოითხოვება.

<u>ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:</u>

კანონპროექტი არ საჭიროებს დაფინანსებას

<u>ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:</u>

კანონპროექტის მიღებამ, შესაბამისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შესაძლებელია იქონიოს დადებითი გავლენა, რადგან ხდება ჯარიმების გაზრდა და ახალი სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დაწესება. თუმცა შემოსავლების ოდენობა დამოკიდებულია ჩადენილ სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

<u>ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:</u>

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრირების პროცესი წარმართული იქნება არსებული რესურსებით. კანონპროექტით გათვალისწინებულია ჯარიმების გაზრდა, შესაბამისად ამ სამართალდარღვევების გამოვლენა ისედაც ხდებოდა არსებული რესურსით, ხოლო კანონპროექტით

გათვალისწინებული ახალი სამართალდარღვევის გამოვლენა და მასზე რეაგირების მოხდენა ასევე მოხდება იმავე არსებული რესურსით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება რაიმე ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება უარყოფითად იმოქმედებს სამართალდამრღვევებზე, რადგან მკაცრდება სანქციის ოდენობები და ამასთანავე ხდება ახალი სამართალდარღვევის შემოღება. შესაბამისად, მათ, ვინც ჩაიდენს სამართალდაღვევას, მოუწევთ გაზრდილი ჯარიმების გადახდა ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა პასუხიმგებლობის აღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით მკაცრდება სანქციის ოდენობები და ამასთანავე ხდება ახალი სამართალდარღვევის შემოღება, რომელიც ჯარიმის სახით ითვალისწინებს 3000 და 5000 ლარის ოდენობით თანხას. ეს ოდენობები გამომდინარეობს სამართალდარღვევის სიმძიმიდან, მისი ხასიათიდან და შინაარსიდან

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება: კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საინიციატივო ჯგუფი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი

<u>საქართველოს კანონი</u>

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 39) დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

მუხლი 10^1.

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას;
2. აკრაძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტირებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას.

<u>**მუხლი 2.**</u> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) კოდექსის 174^1 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

4. <u>„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-10^1, მე-11 და 11^1 მუხლებით</u> <u>გათვალისწინებული</u> ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 (ოცდახუთი) დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით.

მუხლი 3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ.209) დაემატოს შემდეგი შინაარსის 347^1 მუხლი:

მუხლი 347^1. შეკრების ან მანიფესტაციის წესის განმეორებით დარღვევა

„შეკრებებისა და მანიფეტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე- 10^1, მე-11 და მე- 11^1 მუხლებით გათვალისწინებული ნორმების გამეორებით დარღვევა - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180 (ას ოთხმოცი)-დან 240 (ორას ორმოცი) საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 2(ორი) წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2(ორი) წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3(სამი) წლამდე.

<u>**მუხლი 4.**</u> ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“,

<u>ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;</u>

<u>ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;</u>

<u>ა.ბ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონის პროექტი.</u>

2013-2021 წლების მოვლენები, როდესაც საჯარო სივრცეში სექსუალური ორიენტაციის საჯარო დემონსტრირებასთან დაკავშირებული ღონიძიებების ჩატარების მცდელობამ გამოიწვია საჯარო მღელვარება და მოსახლეობის მასობრივი პროტესტი, რამაც ნათლად აჩვენა რომ ქართულ სოციუმში ამ კულტურული და ეთნიკური ღირებულებების სივრცეში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება წარმოადგენს იმ ზღვარის გადაკვეთას, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება საჯარო სივრცეში ქცევის ნორმებთან დაკავშირებით აწესებს.

მტკიცეა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სივრცეში განსაკუთრებით ბავშვების მიერ მსგავსი აქტივობების ხილვა მოსახლეობისათვის მკვეთრად მიუღებელია, შესაბამისად აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესები, რადგან საზოგადოების სიმშვიდისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ღონისძიებები; აუცილებელია კანონით აიკრძალოს ასეთი საჯარო დემონსტრაციების და ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მთავარ ან ერთ-ერთი მიზანს მონაწილეთა სექსუალური ორიენტაციის დემონსტრაცია, პოპულარიზაცია და პროპაგანდა წარმოადგენს. ამავდროულად საზოგადოების მღელვარებას იწვევს შეკრებებსა და მანიფესტაციებზე ამ თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი გამოსვლების და მოწოდებები, დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი ხდება ამა თუ იმ რელიგიური მიმდევრობისა და რწმენის მქონე ადამიანი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათ-წესებით დაფუძნებული საჯარო წესრიგის რღვევის საფრთხეს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სხვათა უფლებების უზრუნველყოფას.

დღეისათვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, როგორც ამას არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, არ არის ამომწურავი, ტოვებს შესაძლებლობას ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფებისათვის, რათა მათ თავიანთი ინტერპრეტაციით, ბოროტად ისარგებლონ საკანონმდებლო რეგულაციით და მიაღწიონ უკანონო მიზანს.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად სახელმწიფომ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში, თანაზომიერების ტესტის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდოს აღნიშნული უფლება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ცვლილების პროექტის მიზანია შექმნას მყარი ბერკეტი, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებით ბოროტად სარგებლობის ფაქტები და დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით უზრუნველყოფილი უფლებები, საფრთხე არ შეექმნას საჯარო წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაცია. სწორედ ამიტომ ცვლილება შედის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში“,

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებას დადებითი გავლენა ექნება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის კუთხით. კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს რელიგიურ მიმდინარეობებისა და ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა, ასევე სექსუალურ უმცირესობათა და სექსუალურ უმრავლესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს, განეიტრალდება სოციალური და რელიგიური შუღლის საფრთხე, შემცირდება და აღმოიფხვრება სოციალურ ჯგუფებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფუძვლები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე კანონის პროექტით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონს“ ემატება მე-10[1] მუხლი, რომელიც აწესებს ახალ რეგულაციას შემდეგი რედაქციით:

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას;
2. აკრაძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტირებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში, რადგან იგი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რადგან კანონპროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებას, და ასევე ახალი სამართალდარღვევის შემოღებას, მიზანშეწონილია რომ იგი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამასთანავე, კანონპროექტით არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორების მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოითხოვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს დაფინანსებას

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება შესაბამისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ იქონიებს;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრირების პროცესი წარმართული იქნება არსებული რესურსებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება რაიმე ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება უარყოფითად იმოქმედებს სამართალდამრღვევებზე, ხდება ახალი სამართალდარღვევის შემოღება. შესაბამისად, მათ ვინც ჩაიდენს სამართალდაღვევას, მოუწევთ კანონით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის აღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპრექტით რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი გათვალისწინებული არ არის.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება: კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

<u>გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:</u>

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

<u>გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:</u>

ასეთი არ არსებობს.

<u>დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:</u>

<u>დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:</u>

ასეთი არ არსებობს.

<u>დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:</u>

ასეთი არ არსებობს.

<u>დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:</u>

ასეთი არ არსებობს.

<u>ე) კანონპროექტის ავტორი:</u>

საინიციატივო ჯგუფი.

<u>ვ) კანონპროექტის ინიციატორი:</u>

არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი.

<u>საქართველოს კანონი</u>

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 39) დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

მუხლი 10^1.

1. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას;
2. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტირებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას.

<u>**მუხლი 2.**</u> ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონის პროექტი.

2013-2021 წლების მოვლენები, როდესაც საჯარო სივრცეში სექსუალური ორიენტაციის საჯარო დემონსტრირებასთან დაკავშირებული ღონიძიებების ჩატარების მცდელობამ გამოიწვია საჯარო მღელვარება და მოსახლეობის მასობრივი პროტესტი, რამაც ნათლად აჩვენა რომ ქართულ სოციუმში ამ კულტურული და ეთნიკური ღირებულებების სივრცეში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება წარმოადგენს იმ ზღვარის გადაკვეთას, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება საჯარო სივრცეში ქცევის ნორმებთან დაკავშირებით აწესებს.

მტკიცეა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სივრცეში განსაკუთრებით ბავშვების მიერ მსგავსი აქტივობების ხილვა მოსახლეობისათვის მკვეთრად მიუღებელია, შესაბამისად აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესები, რადგან საზოგადოების სიმშვიდისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ღონისძიებები; აუცილებელია კანონით აიკრძალოს ასეთი საჯარო დემონსტრაციების და ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მთავარ ან ერთ-ერთი მიზანს მონაწილეთა სექსუალური ორიენტაციის დემონსტრაცია, პოპულარიზაცია და პროპაგანდა წარმოადგენს. ამავდროულად საზოგადოების მღელვარებას იწვევს შეკრებებსა და მანიფესტაციებზე ამ თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი გამოსვლების და მოწოდებები, დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი ხდება ამა თუ იმ რელიგიური მიმდევრობისა და რწმენის მქონე ადამიანი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათ-წესებით დაფუძნებული საჯარო წესრიგის რღვევის საფრთხეს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სხვათა უფლებების უზრუნველყოფას;

დღეისათვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, როგორც ამას არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, არ არის ამომწურავი, ტოვებს შესაძლებლობას ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფებისათვის, რათა მათ თავიანთი ინტერპრეტაციით, ბოროტად ისარგებლონ საკანონმდებლო რეგულაციით და მიაღწიონ უკანონო მიზანს.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად სახელმწიფომ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში, თანაზომიერების ტესტის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდოს აღნიშნული უფლება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ცვლილების პროექტის მიზანია შექმნას მყარი ბერკეტი, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებით ბოროტად სარგებლობის ფაქტები და დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით უზრუნველყოფილი უფლებები, საფრთხე არ შეექმნას საჯარო წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაცია. სწორედ ამიტომ ცვლილება შედის „შეკრებებისა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში".

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებას დადებითი გავლენა ექნება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის კუთხით. კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს რელიგიურ მიმდინარეობებისა და ამა თუ იმ რეგილიგიის მიმდევართა, ასევე სექსუალურ უმცირესობათა და სექსუალურ უმრავლესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს, განეიტრალდება სოციალური და რელიგიური შუღლის საფრთხე, შემცირდება და აღმოიფხვრება სოციალურ ჯგუფებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფუძვლები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კოდექსს ემატება ახალი რეგულაცია, ემატება და მკაცრდება დარღვევაზე პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ: კოდექსის 174[1] მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდება შემდეგი შინაარსით:

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-10[1], მე-11 და 11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 (ოცდახუთი) დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში, რადგან იგი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რადგან კანონპროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებას, და ასევე ახალი სამართალდარღვევის შემოღებას, მიზაშეწონილია რომ იგი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორების მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოითხოვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს დაფინანსებას

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ, შესაბამისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შესაძლებელია იქონიოს დადებითი გავლენა, რადგან ხდება ჯარიმების გაზრდა და ახალი სამართალდარღვევისათვის ჯარიმის დაწესება. თუმცა შემოსავლების ოდენობა დამოკიდებულია ჩადენილ სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრირების პროცესი წარმართული იქნება არსებული რესურსებით. კანონპროექტით გათვალისწინებულია ჯარიმების გაზრდა, შესაბამისად ამ სამართალდარღვევების გამოვლენა ისედაც ხდებოდა არსებული რესურსით, ხოლო კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი სამართალდარღვევის გამოვლენა და მასზე რეაგირების მოხდენა ასევე მოხდება იმავე არსებული რესურსით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება რაიმე ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება უარყოფითად იმოქმედებს სამართალდამრღვევებზე, რადგან მკაცრდება სანქციის ოდენობები და ამასთანავე ხდება ახალი სამართალდარღვევის შემოღება. შესაბამისად, მათ, ვინც ჩაიდენს სამართალდაღვევას, მოუწევთ გაზრდილი ჯარიმების გადახდა ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა პასუხიმგებლობის აღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით მკაცრდება სანქციის ოდენობები და ამასთანავე ხდება ახალი სამართალდარღვევის შემოღება, რომელიც ჯარიმის სახით ითვალისწინებს 3000 (სამი ათასი) და 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით თანხას. ეს ოდენობები გამომდინარეობს სამართალდარღვევის სიმძიმიდან, მისი ხასიათიდან და შინაარსიდან

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება: კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საინიციატივო ჯგუფი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 174^1 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-10^1, მე-11 და 11^1 მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 (ოცდახუთი) დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

<u>ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ;</u>

<u>ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;</u>

<u>ა.ბ) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონის პროექტი.</u>

2013-2021 წლების მოვლენები, როდესაც საჯარო სივრცეში სექსუალური ორიენტაციის საჯარო დემონსტრირებასთან დაკავშირებული ღონიძიებების ჩატარების მცდელობამ გამოიწვია საჯარო მღელვარება და მოსახლეობის მასობრივი პროტესტი, რამაც ნათლად აჩვენა რომ ქართულ სოციუმში ამ კულტურული და ეთნიკური ღირებულებების სივრცეში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება წარმოადგენს იმ ზღვარის გადაკვეთას, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება საჯარო სივრცეში ქცევის ნორმებთან დაკავშირებით აწესებს.

მტკიცეა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სივრცეში განსაკუთრებით ბავშვების მიერ მსგავსი აქტივობების ხილვა მოსახლეობისათვის მკვეთრად მიუღებელია, შესაბამისად აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესები, რადგან საზოგადოების სიმშვიდისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ღონისძიებები; აუცილებელია კანონით აიკრძალოს ასეთი საჯარო დემონსტრაციების და ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მთავარ ან ერთ-ერთი მიზანს მონაწილეთა სექსუალური ორიენტაციის დემონსტრაცია, პოპულარიზაცია და პროპაგანდა წარმოადგენს. ამავდროულად საზოგადოების მღელვარებას იწვევს შეკრებებსა და მანიფესტაციებზე ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი გამოსვლები და მოწოდებები, დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი ხდება ამა თუ იმ რელიგიური მიმდევრობისა და რწმენის მქონე ადამიანი, რაც საბოლოო ჯამში იწვევს რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათ-წესებით დაფუძნებული საჯარო წესრიგის რღვევის საფრთხეს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სხვათა უფლებების უზრუნველყოფას;

დღეისათვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, როგორც ამას არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, არ არის ამომწურავი, ტოვებს შესაძლებლობას ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფებისათვის, რათა მათ თავიანთი ინტერპრეტაციით, ბოროტად ისარგებლონ საკანონმდებლო რეგულაციით და მიაღწიონ უკანონო მიზანს.

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად სახელმწიფომ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში, თანაზომიერების ტესტის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდოს აღნიშნული უფლება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ცვლილების პროექტის მიზანია შექმნას მყარი ბერკეტი, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებით ბოროტად სარგებლობის ფაქტები და დაცულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით და საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტებით უზრუნველყოფილი უფლებები, საფრთხე არ შეექმნას საჯარო წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების მოწესრიგებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაცია. სწორედ ამიტომ ცვლილება შედის ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში".

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებას დადებითი გავლენა ექნება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის კუთხით. კანონპროექტის მიღება უზრუნველყოფს რელიგიურ მიმდინარეობებისა და ამა თუ იმ რეგილიგიის მიმდევართა, ასევე სექსუალურ უმცირესობათა და სექსუალურ უმრავლესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს, განეიტრალდება სოციალური და რელიგიური შუღლის საფრთხე, შემცირდება და აღმოიფხვრება სოციალურ ჯგუფებს შორის ძალადობრივი დაპირისპირების საფუძვლები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" შედის ცვლილება, კოდექსს ემატება ახალი მუხლი, რომლითაც დგინდება სისხლის სამართლის დანაშაულის ახალი სახე, კერძოდ:

მუხლი 347[1]. შეკრების ან მანიფესტაციის წესის განმეორებით დარღვევა

,,შეკრებებისა და მანიფეტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე- 10[1], მე-11 და მე- 11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების გამეორებით დარღვევა - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180 (ას ოთხმოცი)-დან 240 (ორას ორმოცი) საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 2 (ორი) წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 (ორი) წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლამდე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში, რადგან იგი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რადგან კანონპროექტით დგინდება დანაშაულის ახალი სახე, მიზანშეწონილია რომ იგი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამასთანავე, კანონპროექტით არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორების მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოითხოვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს დაფინანსებას

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ, შესაბამისი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე შესაძლებელია იქონიოს დადებითი გავლენა, რადგან ხდება დანაშაულის ახალი სახის დადეგენა, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, თუმცა შემოსავლების ოდენობა დამოკიდებულია ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრირების პროცესი წარმართული იქნება არსებული რესურსებით. დანაშაულთა გამოვლენა და მათზე რეაგირება ისედაც ხდება არსებული რესურსით, ხოლო კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი დანაშაულის გამოვლენა და მასზე რეაგირების მოხდენა ასევე მოხდება იმავე არსებული რესურსით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება რაიმე ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება უარყოფითად იმოქმედებს სამართალდამრღვევებზე, რადგან დგინდება დანაშაულის ახალი სახე. შესაბამისად, მათ, ვინც ჩაიდენს დანაშაულს, მოუწევთ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში პასუხიმგებლობის აღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით დგინდება დანაშაულის ახალი სახე, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 180 (ას ოთხმოცი)-დან 240 (ორას ორმოცი) საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით 2 (ორი) წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 (ორი) წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლამდე. დასახელებული სანქცია გამომდინარეობს დანაშაულის სიმძიმიდან, მისი ხასიათიდან და შინაარსიდან

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება: კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საინიციატივო ჯგუფი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი

პროექტი

<u>საქართველოს კანონი</u>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ.209) დაემატოს შემდეგი შინაარსის 347^1 მუხლი:

მუხლი 347^1. შეკრების ან მანიფესტაციის წესის განმეორებით დარღვევა

,,შეკრებებისა და მანიფეტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე- 10^1, მე-11 და მე- 11^1 მუხლებით გათვალისწინებული ნორმების გამეორებით დარღვევა - ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180 (ას ოთხმოცი)-დან 240 (ორას ორმოცი) საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 2 (ორი) წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 (ორი) წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 (სამი) წლამდე.

<u>**მუხლი 2.**</u> ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი